ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№12

ქ. თბილისი; 25 იანვარი, 2018 წ. 17:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
დავით ჭელიძე
თინათინ ნიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ბაჩო აბულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - ირაკლი თავართქილაძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე სოფიო ხუნწარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანსაწორობის საბჭოს” შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის #26-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
3. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.008.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
4. “ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.156) არსებული 461 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „მზიანისთვის“ (ს/კ: 404488121) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
5. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე **სოფიო ხუნწარიას** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მერის ახალი მოადგილის საკურატორო სფეროში შევა კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე, აღნიშნა, რომ ვინაიდან, დასამტკიცებლად წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტექტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის №26-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის №26-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი იცვლება და საბჭოს თავმჯდომარეობის

შესაძლებლობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გარდა, მისი დავალების შემთხვევაში, ეძლევა საკრებულოს თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილეს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.008.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბატონმა ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი 89-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი განკარგულების დანართი N1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებული 17 (ჩვიდმეტი) მოქალაქისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებას შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე ზოგიერთი მაცხოვრებელი ცხოვრობს 75 (სამოცდათხუთმეტი) წელია, ხოლო, საერთო ჯამში ხდება 26 (ოცდაექვსი) ერთეული ფართის გადაცემა.

ბატონმა ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობები, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში მდებარე გარკვეული უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის წერილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავის ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას დაინტერესებულ პირთათვის.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის" ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.156) არსებული 461 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„მზიანისთვის" (ს/კ: 404488121) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბატონმა ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებებით მიმართა ა(ა)იპ „მზიანის" პრეზიდენტმა **ანა გოგუაძემ** და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, პარკი „მზიურის" ტერიტორიაზე არსებული 461 კვ. მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა, ე. წ. „სოციალური კაფეს" ფუნქციონირების მიზნით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხსენებული უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, **2 წლის ვადით,** გარკვეული ვალდებულებებით გადაცემული იყო ა(ა)იპ - **„მზიანისთვის"**.

ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დადებითი წერილობითი პოზიციები, შესაბამისი მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის სარგებლობის უფლებით, **უსასყიდლო უზუფრუქტის** ფორმით ა(ა)იპ - **„მზიანისთვის"** გადაცემასთან დაკავშირებით.

ბატონმა ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ ხსენებული ობიექტის მფლობელი არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, რომელიც აქტიურად არის ჩართული ბევრ მნიშვნელოვან პროექტში. ბატონი ირაკლის თქმით, ხსენებული ობიექტი არის შშმ პირებისთვის ადაპტირებული და ამასთან, კაფეში ეწყობა შშმ პირებისთვის გარკვეული საღამოები/შეხვედრები.

მომხსენებელმა დასძინა, რომ საკითხთან დაკავშირებით, ასევე წარმოდგენილია შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა" დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, რომლითაც

დასტურდება ა(ა)იპ - **„მზიანის“** მიერ დაკისრებული ვალდებულებების ნაწილობრივ შესრულება.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია სამართლებრივ საფუძვლებში ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122[1] **მუხლის მე-8 პუნქტი,** რომლის თანახმადაც, თბილისის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობით ან უპირობოდ. თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოთ გადაცემა დასაშვებია არა უმეტეს **2 წლის ვადით**, გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **ბაჩო აბულაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-17 მუხლის პირველ პუნქტს ემატება „ჰ[5]“ ქვეპუნქტი,** რომელიც ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელ ნებართვების მფლობელებს ავალდებულებს დაიცვან სანებართვო პირობა, რომლის მიხედვით დედაქალაქის საკრებულოს მიერ ქუჩებზე ავტობუსების გაჩერებების ადგილების განსაზღვრის შემთხვევაში ამ მეწარმე სუბიექტებმა მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების გაჩერება უნდა უზრუნველყონ მხოლოდ ამ გაჩერებებზე.

ბატონმა ბაჩომ განმარტა, რომ აღნიშნული ჩანაწერით დედაქალაქის ქუჩებში ეტაპობრივად დარეგულირდება ავტობუსების მოძრაობა და განსაზღვრული იქნება კონკრეტული ლოკაციები, სადაც მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომისას უზრუნველყოფილი იქნება მათი უსაფრთხოება.

მომხსენებელმა ასევე, აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ნებართვების მფლობელები არ გააჩერებენ სატრანსპორტო საშუალებებს შესაბამის/კონკრეტულ ადგილას მოხდება მათი დაჯარიმება.

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დადგენილების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში უნდა ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ - ქალბატონმა **თინათინ ნიბლოშვილმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა მოცემულ შემთხვევაში გაჩერებების გარდა სხვა ადგილებიც იგულისხმება თუ არა?

მომხსენებელმა განმარტა, რომ „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ავტობუსებს არ ჰქონდათ შეზღუდვა და შეეძლოთ გაეჩერებინათ არამხოლოდ გაჩერებებზე, არამედ, სხვა ადგილებშიც (მათ შორის იქ, სადაც, გაჩერება აკრძალულია). შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებით, სანებართვო პირობად განესაზღვრათ, რომ გაჩერება უნდა უზრუნველყონ მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებისათვის გამოყოფილ შესაბამის ადგილზე.

მომხსენებელმა დასძინა, რომ აღნიშნული ცვლილება ასევე შეეხებათ ქალაქ რუსთავიდან შემოსულ სატრანსპორტო საშუალებებსაც.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **თინათინ კასრაძე**